№ 201. სექტემბრის 18, სამშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 18, სამშაბათი. № 201.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

თავადის ბეჟან წერეთლის ასული სოფიო და თავადნი ლევან, კონსტანტინე, მიხეილ და ივანე აბაშიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა, პირველი თავის მეუღლის და მეორენი—მამის **თ. ზურაბ გიორგის-ძის აბაშიძის** გარდაცვალებას და სთხოვენ მობძანდნენ ამ თვის 21-ს, პარასკევს, დილის 10-ს საათზედ, მიცვალებულის განსვენებაზე დასასწრებლად სოფ. დილიკაურიდგან სოფ. ქაცხს საკუთარს საგვარეულო მისაძინებელში. (2—2)

## შინაური ქრონიკა

— იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დასახმარებლად, შარშან ლაპარაკი იყო იმაზედ, თუ რა საშუალება უნდა იხმარონ ამიერ-კავკასიაში შაქრის კეთების წასამარტებლად. ახლა გაზ. «ნოვოსტი» იუწყება, რომ რამდენსამე თანხის პატრონს, რომელთაც განძრახვა ჰქონდათ შეედგინათ კამპანია შაქრის ქარხნების გასამართავად, გამოუგზავნიათ კავკასიის ამიერ მხარეში შაქრის წარმოების მცოდნე პირი, რათა შეჰკრიბოს ადგილობრივი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება ამ მხარეში შაქრის ქარხნის გამართვა.

— სექტემბრის 16, ქ. გორში შესდგა შემნახველ-დამზოგველი საზოგადოების კრება, რომელზედაც იქმნა წაკითხული სარევიზიო კომისიისაგან წარმოდგენილი განხილვა ხსენებულის საზოგადოების მმართველობის მოქმედობისა. მას შემდეგ იქმნა წაკითხული მმართველობისაგან მიცემული პასუხი. კრებას ჯერ დაბოლოვებით არა გადაუწყვეტია-რა.

— დაბა ხონიდამ გვატყობინებენ შემდეგს ამბავს: აქაურს სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობს ერთი მეგრელი ახალგაზდა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრული ენა დამოუკიდებელია და ქართულზე ძველი ენა არისო. ამის გამო მეგრულს ენას მეტი უპირატესობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქართულსაო. ამ ახალგაზდასვე შეუდგენია მეგრული ანბანი და ამ ანბანის შემწეობით სახელმძღვანელო პირველდაწყებით სკოლებში სახმარებლად და შიგ ჩაურთავს თავისგან შეკრებილი მეგრული ზღაპრები, ანდაზები და სხვ. თუმცა არ გვჯერა, მაგრამ ნამდვილად გვწერენ რომ ეს სახელმძღვანელო კიდეც წარუდგენია ამ ახირებულ პირს სადაც ჯერ არს დასაბეჭდად.

— ამ ორის დღის წინად სოლოლაკის ქუჩაზედ, როგორც «ნოვოე ობოზრენიეს» ატყობინებენ, ორს პო—ლს ბევრი უცემიათ ერთი ქართველი დედა-კაცისათვის, რომელიც უწყინარი შეშლილია თურმე და მოწყალების თხოვნით ირჩენს თავს. ჯერ ერთს პ—ელს დაუწყვია ცემა ხელითა და წიხლით და როცა დედაკაცი გაშვებია ხელიდამ მეორე მოვარდნილა და ორთავეს ცემითა და ტყეპით წაუთრევიათ პოლიციაში. პო—ებს ხალხის გამოკითხვაზე უპასუხნიათ, რომ პოლიცმეისტრისაგან ნაბრძანები გვაქვს ავლაბარში წავიყვანოთ ეს დედა-კაცი, რადგანაც იქაური მცხოვრებელიაო. საცოდავი ცემის დროს სახის გამომეტყველებით ეხვეწებოდი პ—ლებს, ნუ მცემთ და ხალხს აჩვენებდა თურმე დაფხრეწილს ტანისამოსსა და დალურჯებულს ტანს...

— გაზეთებში მოთხრობილია შემდეგი გარემოება სომეხთ შორის ქორწინების შესახებ: «ძველს ჩვეულებას სომხებისას, რომლის ძალითაც მცირე წლოვან ქალებს (9—16 წლამდე) დანიშნამენ ხოლმე მცირე წლოვან ყმაწვილებზე და ახალ-გაზდებზე, ბევრი უბედური ქორწინება მოსდევს და ხანდახან ძალიან სამწუხარო შედეგიც მოჰყვება ხოლმე. ერთს პატარა ქალაქში სომხის 8 წლის ქალი, იმის დაუკითხავად, დაუნიშნიათ მდიდარს მშობლებს 1878 წ. ერთს ახალ-გაზდა ყმაწვილ კაცზე. ქალმა მშვენიერი განათლება მიიღო, შესანიშნავი ლამაზი შეიქნა და სხვა შეუყვარდა. მშობლებიც თანხმანი გაუხდნენ. წინანდელმა საქმრომ განუცხადა ეს ამბავი მღვდელს და ამ უკანასკნელმა აღარ დასწერა ჯვარი ქალს. მშობლები აქეთაც ეცნენ, იქითაც, მაგრამ ყოველმა მათმა ცდამ სასულიერო მთავრობის წინაშე ამაოდ ჩაიარა. ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ძალით განიზრახა ქალის წაყვანა მშობლების სახლიდამ და ამისათვის მივიდა ერთხელ მათთან ამ აზრით დაქირავებული კაცებით. ქალმა მოასწრო და დაიმალა იქვე ახლო პროტესტანტების მისიონერის სახლში. მაშინ ეპისკოპოსი წავიდა იქ, კაცებმა ამოამტვრიეს კარები და საცოდავი მსხვერპ-

---

«დროების» ფელეტონი, სექტ. 18-ს

## ბიბლიოგრაფია

„ქართული ლექსიკონი“, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, გამოცემული რაფ. ერისთვის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. თბილისი, 1884 წ.

ამ უკანასკნელ დროს ყოველ წრეში და ყოველ კუთხეში მოიპოვებიან იმისთანა პირნი, რომელნიც თანაუგრძნობენ და ხელს უწყობენ ქართულ კლასიკურ თხზულებათა ბეჭდვას. ამ ასპარეზზე ვხედავთ ჩვენ უმაღლესი სამღვდელოების წევრსა და მეოჯახე თავადსა, მდიდარს მოქალაქეს და ღატაკს ასოს ამწყობსა, რომელიც უკანასკნელ გროშსაც კი სწირავს ამისთანა საქმისათვის; აქვე წარჩინებულ მწერლების სახელსაც შევხვდებით ხოლმე. ეს საზოგადო მოძრაობა ცხადი ნიშანია იმისი, რომ ქართული მწერლობის საჭიროების აზრი მართლა საერთო აზრად გამხდარა და საზოგადოებაში მართლა ფესვი გაუდგამს.

ეს მოვლენა ჩვენს დროში, ფრიად სანუგეშოდ და სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რადგან ერთის მხრით ამით ვრწმუნდებით, რომ ხალხში მაგრად გამჯდარა ჩვენი ვინაობის შეტყობის სურვილი და მეორეს მხრით კლასიკურ თხზულებათა გავრცელება და შესწავლა საუკეთესო საშუალებაა ქართულ ენის შემუშავებისა და გამდიდრებისათვის. ენა ხალხის გონებრივი საუნჯეა. თუ ხალხს ენა მდიდარი აქვს, სჩანს, რომ მისი გონებრივი წარმატებაც კარგ მდგომარეობაში ყოფილა. პირიქით, თუ ხალხში მეცნიერება წინ მიდის, მაშინ ენაც უნდა წინ მიდიოდეს და მდიდრდებოდეს. მაგრამ როგორც ხალხის ნივთიერ სიმდიდრისათვის, ისე გონებითი საუნჯისათვის საჭიროა დრო და თანდათანობა. როგორც ხალხის ეკონომიური მდგომარეობის წარმატება შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ჩვეულებად იყოს მამის სიკვდილის შემდეგ ყოველივე მისი მონაგარი დაილეწოს და ცეცხლს მიეცეს შვილებისაგან, ისე სიტყვიერების წარმატებაც შეუძლებელი იქნება, თუ რომ წინაპრების ლიტერატურული ნაწარმოები ყოველთვის დავიწყებულნი იქნებიან. მართალია, დროს განმავლობაში ყოველი ნივთიერი და გონებრივი ნაწარმოები ჰქრება და მათი ადგილი ახალმა უნდა დაიჭიროს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს თანდა-თან, ისე რომ საუნჯეს უფრო უნდა ემატებოდეს, ვიდრე აკლდებოდეს. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი შემატება და წარმატება ყოველი საუნჯისა.

ზოგიერთების აზრით კლასიკური თხზულებების გამოცემის ახლანდელი მოძრაობა მოასწავებს მწერლობის დაცემასაო: ახლანდელი მწერლები ახალს ვერას სწერენ და ძველს დაუწყეს ჩიჩქნაო. ამათ წინააღმდეგ საკმაოა მოვიგონოთ, რომ ყველა ხალხების ისტორიაში, სადაც მივიწყებულ კლასიკურ თხზულებათა შესწავლას შესდგომიან და ამ კლასიკურ თხზულებებს ხელ-ახლად თვალ-საჩინო ადგილი დაუჭერიათ, ყოველთვის ეს მომხდარა იმ ხანში, როცა საზოგადოდ მეცნიერების და ლიტერატურის წარმატება და მოძრაობა გაძლიერებულა. ამ რიგად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველი წიგნების უხვად გამოცემა ახლანდელ ჩვენის მწერლობის დაცემის ნიშანი კი არ არის, არამედ მისი წარმატების ნიშანია და გაუმჯობესობის იმედი.

ძველ წიგნთა შორის სხვებზე უფრო ადრე უნდა გამოცემულიყო: საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, როგორც ყველასათვის ძლიერ საჭირო წიგნი, მით უმეტესად რომ ამგვარი წიგნი მეორე არ არის ქართულ ენაზე. მღირსა კი ამ წიგნს დაბეჭდვა თითქმის ას-ოთხმოცი წლის შემდეგ დაწერის დროიდგან. ამისათვის იგი, რასაკვირველია, ვერ დაიბეჭდებოდა სრულებით იმგვარად, როგორც დასწერა ავტორმა. უეჭველია, რომ ეს ლექსიკონი თან-და-თან შევსებულია სხვა-და-სხვა პირებისაგან. ამას გვიმტკიცებენ ხელ-ნაწერები, სადაც ცხადად სჩანან სხვა-და-სხვა მელნით შემდეგ ჩამატებული სიტყვები. ამისთანა დამატების უფლება მისცა მსურველებს თვით სულხან ორბელიანმა, რომელმაც ბევრი სიტყვები აუხსნელი დანიშნა და სთხოვა მკითხველებს, ვინც შეიძლებთ, ახსენით ეს სიტყვებიო. მაგრამ ამისთანა დამატებანი საზოგადოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ავტორს უნდა დაეწერა პირველი ლექსიკონი, რომ იგი არ მოსწრებია ქართულს ლექსიკონს, როგორც თვითონ ამბობს, მაშინ ჩვენ შევვეძლება ავსწონოთ, თუ რა დიდი შრომა უნდა გაეწია ამ ლექსიკონის შედგენისათვის სულხან ორბელიანს. მართლაც, მისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი—სიყრმე და ჭაბუკობა, როგორც თვითონ ამბობს — ამ ლექსიკონისათვის შეუწირავს. სასარგებლოდაც მოუხმარია ამდენი დრო და ნიჭიერადაც შეუსრულებია თავისი წადილი. თუმცა თვითონ საბა-სულხან ორბელიანი იხსენიებს ერთს სომხურ ლექსიკონს, რომელიც მას მხედველობაში ჰქონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ძალით წაიყვანეს ეპისკოპოსის სასახლეში, სადაც იგი ჩაჰკეტეს ცალკე ოთახში. აქ თუმცა საშინელი წამება მიაყენეს საცოდავს, მაგრამ ქალი მაინც არა თანხმდებოდა წინანდელ საქმროს მისთხოვებოდა და სთხოვდა ნება-რთვას მოლოზნად აღკვეცისას. ეპისკოპოსი ვერ შეარყია იმისმა ხვეწნამ და მუდარებამ. იმავე ოთახში დასწერეს მას ჯვარი და ხელში მისცეს მისგან ისე შეძაგებულს კაცს. ამ გვარმა საშინელმა ქცევამ სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ათას-გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

## რუსეთი

— უკანასკნელს დროს კიევის საგენერალ-გუბერნატოროს გუბერნიებში ერთობ ძლიერ გახშირდა გლეხთა მიერ სხვის ნაჭირნახულევის თვითნებით და ძალადობით ხმარება; ისე ხშირად იკლებენ ისინი მეზობელ მემამულეთა მინდვრებს და ტყეებს, რომ ხშირად ჯარების დახმარება დასჭირდებათ ხოლმე მათ შესაკავებლად; ამ გვარმა უწესობამ და საკუთრების უფლებათ დარღვევამ გამოიწვიეს, იმ ენერგიულ საშუალებათა გარდა, რომელთაც ამ მხარის უფროსი ხმარობს, უფროსისავე თხოვნით, იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაც, რომელიც ვალად სდებს ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა, რათა უჯეროდ და დაუყოვნებლივ გაარჩიონ ხოლმე ამ გვარნი დანაშაულობანი, შეძლებისა დაგვარად, იმავე ადგილას, სადაც დანაშაულობა მოხდება; ეს საჭიროა იმიტომ რომ, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცაო, ამისთანა საქმეთა დაგვიანება გლეხებს თავიანთ სასარგებლოდ მიაჩნიათო.

(ს.-პეტერბურგის უწყებანი)

— ამ დღეებში გათავდა პეტერბურგის უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელი ეგზამენები. ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში ეგზამენს იჭერდა 500 ყმაწვილი კაცი და მათგან მიიღეს მხოლოდ 96 კაცი, რომელთაც უმაღლესი ბალები (5) მიიღეს, — ვაკანსია მეტი არ იყო. საარხიტექტურო სასწავლებელში სულ 50 ვაკანსია იყო და ეგზამენს კი 400-მდე კაცი იჭერდა.

(მოსკ. უწყებანი.)

## „ქართული ინდიქტიონის და ქორონიკონის"-გამო *).

ქართული წელთ აღრიცხვა, წოდებული ინდიქტიონად, შეიცავს 532 წელს; თვითეული წელი 532 წელთაგანი იწოდება ქორონიკონად. ეს 532 წლიური ინდიქტიონი შემდგარია 19 მთვარის წლიდგან 28 მზიურს წელზედ გადამრავლებით, რადგანაც მიღებული იყო, რომ 532 წლის განმავლობაში საზოგადოდ ყველა პლანეტები დადგებიან ხოლმე იმ წერტილზედ, საიდგანაც დაიწყეს მოძრაობა მზის გარშემო ქვეყნის შექმნიდგან და, რადგანაც კერძოდ მთვარე 19 წლის განმავლობაში და მზე 28 წლის განმავლობაში დაადგება ხოლმე იმ წერტილს, საიდგანაც პირველად დაიწყეს მოძრაობა. დასაწყისი ამ ნაირის წელთ-აღრიცხვისა ძრიელ ძველია (და არა ქართველების მოგონილი, როგორც ამბობს ზემოხსენებულის წერილის ავტორი). იგი პირველად ხმარებაში იყო ეგვიპტეში და ფანიკიაში მოგვებისა და ვარსკლავთ-მრიცხველთაგან. ეგვიპტის მსწავლულებს წარმოდგენილი ჰქონდათ ინდიქტიონი (ანუ კვიკლოსი) ოქროს ფრინველად — ფენიქსად, რომელიც 532 წლის შემდეგ მოფრინდებოდა ხოლმე არაბეთიდგან ქალაქს ილიოპოლში, ესრედ-წოდებულს «მზის ტაძარზედ». ამ ტაძარზედ» იგი აკეთებდა, ეგვიპტელების წარმოდგენით, ბუდეს და კოცონს. შემდეგ დადგებოდა ხოლმე მზის პირდაპირ, იქნევდა ფრთებს, იწვოდა თვით, სწვამდა კოცონს და იმის ნაცრიდგან გამოდიოდა ჭია. რომელიც 532 წელთ განმავლობაში იზრდებოდა, იმავე სახით იწოდა და მის ნაცრიდგან სხვა ჭია ჩნდებოდა. ეს წესი არაოდეს არ იცვლებოდა, ე. ი. ფენიქსი არაოდეს არ ისპობოდა და ყველა 532 წლის შემდეგ ახლდებოდა. ამისა გამო ინდიქტიონიც იწოდება სამუდამოდ *).

ანატოლი ალექსანდრიელმა 270 წელს ეგვიპტურს მეთოდაზედ შეადგინა 19 წლოვანი წელთ აღრიცხვა, რომელიც დამყარებული იყო მთვარის მიმოქცევაზედ. მე-IV საუკუნეში ეს წელთ-აღრიცხვა გავრცელებული იყო საბერძნეთში და სხვა აღმოსავლეთის სახემწიფოებშიაც. ეჭვი არ არის, რომ ქართველებმა ქრისტიანობის მიღებასთან, მიიღეს ქრისტიანულივე წელთ აღრიცხვა, გავრცელებული საბერძნეთში და წოდებული ქორონიკონად და მიიღეს სირიის ეკლესიისაგან, რომლის მმართველობის ქვეშ იყო მაშინ საქართველოს ეკლესია. ამასავე ამტკიცებს წოდება ინდიქტიონისა ქართულად «ასურული კვიკლოსი».

თუ რომელ წელში შემოღებულ იქმნა საქართველოში ქორონიკონი, გადაწყვეტით არავინ იცის ჯერ. ბ. დიმ. ბაქრაძე ამბობს *), ქორონიკონი შემოიღეს საქართველოში 780 წელსაო; (ჩვენ ხელთ არა გვაქვს ის წყარო, რომელსაც ეს ავტორი ასახელებს მაგრამ ძალიან ვეჭობთ, რომ დ. ბაქრაძე ამას ამტკიცებდეს). ეს არა გვგონია, ასრე იყოს. არ შეიძლება, რომ ქართველებს ქრისტიანობის მიღებისათანავე არ მიეღოთ მაშინდელი წელთ აღრიცხვა, რომელიც გავრცელებული იყო სხვა ქრისტიანულს სახემწიფოებში. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მე IV საუკუნიდ-

*) «მწყემსის» მე 17 ნომერი ილ. ფერაძის წერილი.

*) «Описаніе древностей Тифлиса», გვ. 294.

*) Кавказскій календарь 1858 წლისა ბაქრაძის წერილი.

---

თავის ლექსიკონის შედგენის დროს, მაგრამ სომხური ლექსიკონი ნიმუშად თუ გამოადგებოდა, თორემ მასალას კი ვერას მისცემდა ავტორს. ეს მასალა თვითონ უნდა ეძებნა სულხანს თუ სხვა-და სხვა ქართულ წიგნებში და თუ თავის მეხსიერებაში.

რასაკვირველია, ნაკლულევანებაც აქვს სულხან ორბელიანის ლექსიკონს. უამისოდ ხომ შეუძლებელი იქნებოდა პირველი ლექსიკონის შედგენა. უმთავრესნი ნაკლულევანებანი ამ ლექსიკონისა, ჩვენის აზრით, შემდეგნი არიან: ა) ერთი, რომ სიტყვები თავიანთ პირვანდელ ფორმებით კი არ არიან ნაჩვენებნი, არამედ სხვა-და-სხვა წარმოებული ფორმები არიან მოყვანილნი. ამის მიზეზით ლექსიკონი უსარგებლოდ ივსება და თან სიტყვების პოვნა ძნელდება. მაგალითად ლექსიკონში ვპოულობთ სხვა-და-სხვა ადგილას: აბარგე, აბებრე, აბზრიალე, აბრუნე... აფუცა, აქცევდა, აწუქა, აწუქებდა, აჩვენა, აჩვენებდა, აჩვეიებს, ებანა, ეგონა, ეგლოვა, ეგმირა და სხვ. და სხვ... ბ) მეორე ნაკლულევანებას შეადგენს ის, რომ ზოგიერთი სიტყვები ძლიერ მარტივად არიან ახსნილნი. ამის გამო სიტყვის აზრი ხანდახან ბნელი რჩება, მაგალითად: ადგედი — ადგებადი, ადგებადი — ადგებული, ავლისტადი — ეკვიბი, აღზორზინება — ზრზინება იწყოს, მუზარადი — ზუზი და სხვ... გ) მესამე ნაკლულევანება თვითონ აღიარა სულხან ორბელიანმა: მრავალი სიტყვები სრულებით აუხსნელად არიან მოყვანილნი. დ) მეოთხე: ზოგიერთი ძლიერ გავრცელებული სიტყვები, რომელთაც ქვეით მოვიხსენებთ, სრულებით მოყვანილნი არ არიან. ე) მეხუთე ნაკლულევანებად ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ უცხო ენებიდგან შემოტანილ სიტყვების მომდინარეობა არ არის უმეტეს ნაწილად ნაჩვენები, ე. ი. არ არის ნაჩვენები, თუ რომელიმე სიტყვა რომელი ენიდგან არის შემოტანილი, იმ ენაზე როგორ გამოითქმის და პირვანდელი მნიშვნელობა სიტყვისა არ არის.

რაც შეეხება თ. რაფ. ერისთვის გამოცემას, ჩვენი აზრი ამ გამოცემის ღირსების და ნაკლულევანების თაობაზე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა უნდა ჰქონოდა საგნად ამ გამოცემას და ამის და-გვარად რა მოეთხოვებოდა გამომცემელს? ჩვენის აზრით, რადგან სხვა ლექსიკონი ჯერ-ჯერობით არა გვაქვს, ამ ლექსიკონის გამოცემას პრაქტიკული აზრი უნდა ჰქონოდა, ე. ი. ეს ლექსიკონი სახელმძღვანელო და სარჩევ წიგნად უნდა გამოსდგარიყო, როგორც მოზარდ ყმაწვილებისათვის, ისე სხვა მკითხველთათვისაც. ამ პრაქტიკულის აზრის შესასრულებლად გამომცემელს, რაც შეიძლებოდა შენიშვნების საშუალობით, უნდა შეევსო ლექსიკონის ის ნაკლულევანებანი, რომელნიც ჩვენ ზეით ვუჩვენეთ. თუმცა ბ. რედაქტორს ბლომად ჩაურთავს თავისი შენიშვნები, მაგრამ ზემო ხსენებული ნაკლულევანებანი შესამჩნევად ვერ შეუვსია. ეს შენიშვნები ცხადად გვიჩვენებენ, რომ ბ. რედაქტორს დაზარებია სისტემატიურად განმარტების და შენიშვნების დართვა ყოველგან, სადაც საჭირო იყო და მხოლოდ იქ ჩაურთავს, სადაც უფრო ემარჯვებოდა, თუმცა ბევრი მათგანი სრულებით საჭირო არ იყო. ამას გვარწმუნებს შემდეგი გარემოება. ბ. რედაქტორს ერთის მხრით სრულებით აუხსნელად დაუტოვებია რამოდენიმე ასი სიტყვა, რომელთა შორის ძლიერ ადვილი ასახსნელებიც არიან, და იმავე დროს იმისთანა შენიშვნებს დასძენს, როგორიც მაგალითად არის თოფის წამლის გაკეთების დარიგება და ან ის შენიშვნა, რომ «განსაწმენდელი» (მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი) ცრუ-მორწმუნეთა სწამთო.

რედაქტორს, როგორც სჩანს, სრულებით არ უფიქრია, რომ, სადაც საჭირო იყო, ჩაერთო სიტყვების პირვანდელი ფორმები. ამის გამო აი რას ვხედავთ: შენიშვნაში მოყვანილია მაგალითად, რომ აბზრიალე ნიშნავსო ბზრიალება დააწყებინეო, მაგრამ თვით სიტყვა ბზრიალება და მისი ახსნა კი არ მოიპოვება ლექსიკონში.

მრავალ სხვა სიტყვებთან რედაქტორს სრულებით აუხსნელად დაუტოვებია იმისთანა ყოველ-დღე სახმარებელი, როგორც მაგალითად: ხველა, მეჭეჭი, გვარჯილა, დაბურვა და სხვ...

რედაქტორსავე არამცთუ უნდა აეხსნა ეს სიტყვები, რომელნიც მოყვანილნი კი იყვნენ სულხან ორბელიანის ლექსიკონში და ახსნილნი არა, არამედ ჩვენის აზრით ახლადაც კი უნდა შეეტანა შენიშვნების საშუალებით იმისთანა სიტყვები, რომელთაც დღეს ჩვენში საყოველთაოდ ხმარობენ, მაგრამ ლექსიკონში არ არიან, მაგალითად: ამაგი, ანკარა (прозрачный), ბე (წინდი), დავლა (ხიზნში ნაშოვარი), დამბლა, მოედანი, მამული (отечество), ფაქიზი, ქცევა (მიწის ზომა) და სხვ...

ლექსიკონში მოყვანილი უცხო სიტყვების მომდინარეობის ახსნა, უმრავლესობისა მაინც, ძლიერ ადვილი საქმე იყო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანცუზულ ლექსიკონის შემწეობით. მაგრამ გამოცემის რედაქტორს არც ამ მხარესათვის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება, ისე რომ ზოგიერთ ადგილას ისიც არ შეუტანია თავის გამოცემაში, რაც ხელ-ნაწერებში მოიპოვებოდა, მაგალითად დაბეჭდილში არ არის ახსნილი, თუ საიდაურია სიტყვა «აქიმი», მაშინ როცა ხელ-ნაწერებში ნაჩვენებია არაბულ სიტყვად.

ლექსიკონის ზემოხსენებულ ნაკლულევანებებთან გამომცემელს ერთი დიდი ნაკლულევანება დაუძენია, რომელიც ხელ-ნაწერებში არ მოიპოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან საქართველოს ეკლესია დღესას-წაულობს საბერძნეთის ეკლესიას თანხმად, ე. ი. ერთსა და იმავე დღეს.

ამ ნაირად ქართველების ინდიქტიონი ბერძნების ინდიქტიონიდგან არის წარმომდგარი, თუმცა კი განირჩევა მისგან და განირჩევა იმითომ, რომ ქართველები ქვეყნის შექმნიდგან ჰრიცხვენ 5604 წელს ქრისტეს დაბადებამდე, ხოლო ბერძნები კი 5508 წელს ე. ი. ქართველები 96 წელს უმატებენ ბერძნების წელთ-აღრიცხვას წინააღმდეგ... შემდეგ ამისა ნება-უნებურად იბადება კითხვა: რა საბუთი ჰქონდათ ქართველებს, რომ 96 წელი მოუმატეს? და თუ საბუთი არა ჰქონდათ, რა სურვილმა მოუარათ, რომ ტყუილ-უბრალოდ 96 წელი მოუმატეს ბერძნების წელთ-აღრიცხვის წინააღმდეგ; მაშინ როცა ყოველისფერში, რაც ეკლესიას შეეხებოდა, ქართველები ბერძნებს ჰბაძავდნენ. ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, რიგიანი და ცნობის-მოყვარეობის დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერსად ამოვიკითხეთ.

აქ არ შეიძლება არა ვსთქვათ რომ ბ. ცვეტკოვის სიტყვით*) ქართულს წელთ-აღრიცხვას ტყუილად არ ემატება 96 წელი, რომ ამ 96 წლის მომატებით ქართველებმა უფრო ნამდვილად და უშეცდომოდ გამოიანგარიშეს, თუ რამდენი წელი გავიდა ქვეყნის შექმნიდგან ქრისტეს დაბადებამდის. ზემოხსენებულს პირს თვისის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ადგილი საღმრთო წერილიდგან და სხვა ცნობებიც. რამდენად ახლოა სიმართლესთან ეს გამოკვლევა, ამაზედ ჩვენ ვერას ვიტყვით, თუმცა კი ავტორი გადაჭრით ამბობს, რომ ეს სწორედ ასე უნდა იყოსო.

*) იხ. «Грузинскiй 532 лѣтнiй индиктiонъ» («Кавказъ») 1854 წლისა №№ 23 და 24.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთ წიგნებზედ და სხვა ზედ-წარწერებზედ არის ხოლმე მოხსენებული მარტო ქორონიკონი, ხოლო ინდიქტიონი კი არა. ამისთანა შემთხვევაში იძულებულია კაცი გაიგოს ინდიქტიონი წელიწადში მოხსენებულის ისტორიულის პირების და სხვა შესანიშნავ გარემოებათა დასახელებით; ხოლო თუ რომელსამე წარწერაში, მაგალითად, ქორონიკონი უჩვენებს რომელიმე ეკლესიის აშენების წელს და არც შესანიშნავი ისტორიული პირნი არიან მოხსენებული, მაშინ იძულებულია კაცი ინდიქტიონი გაიგოს ეკლესიის სიძველით. ამისთანავე უნდა იცოდეს, რასაკვირველია, რომ მეთორმეტე ინდიქტიონი გათავდა 780 წელს, მეცამეტე 1312 წ., მეთოთხმეტე 1844 წელს და სხ.

ამას დავუმატებთ კიდევ, რომ ხანდისხან რომელიმე ქორონიკონისაგან ნაჩვენები წელი არ ეთანხმება ამ წელს ქვეყნის შექმნიდგან. ეს ჰხდებოდა, როგორც ჰფიქრობენ, იმისაგან, რომ ზოგნი, უცოდინარობისა გამო, ინდიქტიონში 532 წელს არა ჰრაცხდენ. არამედ მეტ-ნაკლებს. პლ. იოსელიანი სწერს, რომ ზოგნი ინდიქტიონად 532 წელს კი არა სთვლიდენ, არამედ 32 წლით ნაკლებსაო*) ე. ი. მათის აზრით ინდიქტიონი შეიცავდა 500 წელსა. ეს გარჩევა ინდიქტიონებს შორის უნდა ჰქონდეს კაცს სახეში, როდესაც იკვლევს ისტორიულის პირის ცხოვრებას და სხვა შემთხვევებს და უჩვენებს მათს წელს და უფრო მაშინ, როდესაც ერთი ქორონიკონის ჩვენება არ ეთანხმება მეორეს.

ზ. ჭიჭინაძე.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

სექტემბრის 16-ს

ბერლინი. აქ მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და აქედამ ამსტერდამში მიდის.

პარიჟი. ადმირალი კურბე იუწყება, რომ მალე განაახლებს ჩინეთთან ბრძოლას.

პეტერბურგი. გუშინ საღამოზე დაბრუნდენ პეტერგოფში ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა.

„ჟურნალ დე-სან-პეტერბურ" არღვევს პარიჟელი გაზეთების ცნობებს, ვითომც რუსეთი ჩარეულიყოს საფრანგეთისა და ჩინეთის შეტაკებაში; ამასთანავე ამტყუნებს იმ ფანტასტიკურს ამბავსაც, ვითომც საფრანგეთი და რუსეთი ჰფიქრობდენ ჩინეთის ურთიერთ შორის გაყოფას და ვითომც პროექტსაც ადგენდენ ამ საგანზე; ტყუილია აგრეთვე „პეტერბურგის უწყებათა" ცნობა ვითომც რუსეთს პორტი მოეპოვებინოს ეგეის ზღვაში.

*) იხ. «Жизнь великаго моурава кн. г. Саакадзе», გვ. 99, სხოლიო მეექვსე.

ოქტომბრის დამდგომს მმართებლობის კომისია შეუდგება საადპეკუნო ნაწილის რეფორმებს.

სენატორების უთანხმობის გამო ტოკარევის, კოშკარევის, კაპნისტის და სევასტიანოვის საქმეში, იუსტიციის მინისტრმა უჩვენა სენატს ისეთი ზომა სასჯელისა, რომლითაც ეკუთვნის დასჯა ბრალდებულებსა თანახმად უმაღლესის მანიფესტისა, 1883 წელს მაისის 15 გამოცემულისა.

„ნოვოე ვრემია" იწერება, რომ ციმბირის რკინის გზის შესახებ საქმეს განიხილავს მინისტრთა კომიტეტი ოქტომბერში.

„გრაჟდანინი" დაბეჯითებით იუწყება, რომ ჰფიქრობენ შეამციროს კლასიკურ გიმნაზიათა რიცხვი ტეხნიკურ — პროფესიონალურ სკოლათა სასარგებლოდა; აგრეთვე ბეჯითად ამზადებენ პროექტს მთელს რუსეთში ამ გვარ სკოლათა დამართვის შესახებ.

კაირი. უოლსლეი გუშინ წავიდა

ჩვენ ვამბობთ აუარებელ კორექტურულ შეცდომებზე, რომლებითაც სავსეა დაბეჭდილი ლექსიკონი. იქნება ყოველ სხვა წიგნში მიეტევებოდეს გამომცემელს კორექტურული შეცდომანი, და სახელმძღვანელო წიგნში კი საზოგადოდ და განსაკუთრებით ლექსიკონში, რომელიც სჭირდება კაცს უცნობ სიტყვების ასახსნელად, ამისთანა შეცდომანი არას გზით არ მიეტევება.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ აგრეთვე გამოცემის წინასიტყვაობის თაობაზე. გამოცემის რედაქტორს მოჰყავს სულხან ორბელიანის შესახებ ბიოგრაფიული ცნობანი. ამ გამოჩენილ კაცის ნაშრომთა შორის რედაქტორი იხსენიებს მის წერილებს რომში და საფრანგეთში მოგზაურობაზე, მაგრამ გარკვევით არას ამბობს, თუ რა ჰქონდა საგნად ხსენებულ მოგზაურობას. ჩვენის აზრით სულხან ორბელიანმა დიდი ნიჭი გამოიჩინა თავის დიპლომატიურ მოგზაურობაში. როცა ისტორიკოსი შეუდგება ვახტანგ VI-ის დროის შესწავლას, იგი ვერ აუვლის გვერდს სულხან ორბელიანის მოგზაურობას ისე, რომ არ დააფასოს ჯეროვანად მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მისი ნიჭიერი მოწადინების მნიშვნელობა. ნუთუ ჩვენ უნდა ვაფასებდეთ მხოლოდ იმისთანა აზრს, რომელიც გარემოების დახმარებით აღსრულებულა, და არავითარ მნიშვნელობას არ უნდა ვაძლევდეთ იმისთანას, რომელიც, თუნდაც ნიჭიერი და მაღალიც იყოს, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო ვერ აღსრულებულა?!. *)

გარდა ამისა გამოცემის რედაქტორს უნდა შევნიშნოთ, სხვა ძველი წიგნების გამომცემელთა საყურადღებოდ, რომ საჭირო იყო, წინასიტყვაობაში ყოფილიყო ცნობა იმის თაობაზე, თუ რომელი, საიდგან ნაშოვნი და რა ღირსების ხელ ნაწერები ჰქონდა რედაქტორს ხელში. ამ ხელ-ნაწერების აღწერა ისე საჭიროა, როგორც მოწმების ჩვენების ასაწონად საჭიროა მათი ვინაობის გამოკვლევა და გაცნობა.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ გამოცემის ფასი — ოთხი მანათი — საშინლად დიდია. ეს წიგნი რომ შევადაროთ ვისრამიანს და მივიღოთ მხედველობაში, რომ ვისრამიანი ერთიორად უფრო შნოიანად არის გამოცემული, უკეთესს ქაღალდზე, სივრცით არა ნაკლებია ლექსიკონზე, და ფასი კი მისი მანათ-ნახევარია, და ამასთანავე ისიც რომ მივიღოთ მხედველობაში, რომ ლექსიკონს ერთიათად უფრო მეტი მუშტარი ეყოლება, — მაშინ ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ ლექსიკონს საშინელი დიდი ფასი აქვს. ამისთანა სიძვირე ჩვენ ვერაფრით ვერ აგვიხსნია. გასაკვირველი და აუხსნელი კიდევ ის არის, რომ ზოგიერთ წიგნის მაღაზიაში ლექსიკონი სამ მანათად იყიდება და ზოგიერთში ოთხად. ესეც გამოცანაა, მაშ რა არის?

*) იხილე სულხან ორბელიანის მგზავრობის თაობაზე წერილები 1876 წლის «დროებაში».

თუმცა ჩვენი შენიშვნა ძლიერ გაგრძელდა, მაგრამ ვერ მოგვითმენია, რომ კალმის დაგდებამდე არ მოვიყვანოთ სულხან ორბელიანის წინასიტყვაობიდგან ერთი შესანიშნავი ადგილი, რომელშიც იხატება ავტორის მწერლობის ნიჭი და კეთილშობილური ხასიათი.

«ჩვენს დროში, თბილისში, სცხოვრებდა წინამძღვარი იოვ, კაცი ფრიად მსწავლული, კარგი მოსაუბრე, მცოდნე და მკითხველი ჟამნისა და დავითნისა კარგი გამომთქმელი, ნაქები მგალობელი, განთქმული მწერალი, დაუცხრომელი ღვთის მლოცველი, შვიდეულის მმარხველი, ტკბილი შემწყნარებელი. როდესაც მე დავიწყე შედგენა ამ სიტყვის-კონისა, იგი მამაგებდა და მეცხადებოდა მე, ხოლო, რა დავასრულე, ჰნახა და მოეწონა; მე ვთხოვე გადასაწერად, მან გადასწერა, მაგრამ სადაც იყო ჩაწერილი ჩემი სახელი, ამოუშალა და მისგან გადაწერილში ჩაეწერა თავისი სახელი, ვითომც მას შეედგინოს. მე ამითი ფრიად გავკვირდი: როგორ თუ ამისთანა სახელოვანმა კაცმა არ იუკადრისა ესე?! ნათქვამია: «ნუ მიუზღავ ბოროტისათვის ბოროტით». — რადგან, მან ჩემს შრომაში არ მოიხსენია ჩემი სახელი და ჩასწერა თვისი სახელი, ამისთვის მე ჩემს შრომაში შევიტანე ქება მისი; ამისათვისვე მე ვიხივლე".

ეს სტრიქონები სწორედ რომელიმე პარლამენტის წარჩინებულ ორატორს ეკადრება. ავტორის საუცხოვო ზრდილობასა და გულის სიმშვიდესთან რა საშინელი მწარე დაცინვა იხატება ამ სიტყვებში! მკითხველი ცხადად გრძნობს, რომ ავტორს თავისი მოწინააღმდეგე განგებ აჰყავს მაღლა, რომ მით უფრო შესამჩნევი იყოს მისი ძირს დაცემა, მაგრამ ამ საგნისაკენ ავტორი ისე წყნარად და გულ-დამშვიდებულად მიდის და იმისთანა პატიოსნურ და ფაქიზ საშუალებას ხმარობს, რომ მკითხველის სრული სიმპატია ბოლომდე ავტორისაკენ რჩება და მით უფრო სრული ხდება ავტორის გამარჯვება.

ვუძღვნით ამ ადგილს სულხან ორბელიანის ლექსიკონიდგან ჩვენს პოლემისტებს, რომელთაც ჩვეულებად აქვთ თავიანთ მოწინააღმდეგეთა უშვერის სიტყვებით შემკობა და ვისურვებთ რომ ჩვენს მწერლობაში აბლაბრის დედაბრების და თათრის მოედანის კინტოთა ლექსიკონები დავიწყებულ იქმნან.

მ—ჯ—ხ—მე-

ამაღლითურთ ვადიჭპლაჯაში, საი-დამაც გვა ესჴმედიცა გორდონ-თან შესაერთებლად.

რ მ. ხოლერა შესამჩნევად სუსტდება; სექტემბრის 26 (ახ. სტ.) ნეაპოლში მოკვდა ხოლერით 63, გენუაში 12, ხოლო სულ ერთიანად მთელს იტალია-ში 205 კაცი.

სექტემბრის 17-ს.

კიევი. ლექციები გადადებულ იქმნენ ცალკე გამოცხადებამდე, ხოლო იმ დრომდე უნივერსიტეტ-ში შესვლა სტუდენტებს აღეკრძალათ.

შემოკრებილება ეპისკოპოსთა იმ საგანთა სირთულისა და მრა-ვალ-გვარობის გამო, რომელნიც მათ უნდა განიხილონ, განგრძე-ლებულ იქმნა სექტემბრის 20-მდე.

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომ-ბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამოსცხვარი პური რუ-სულის ფქვილისა— | —1 | გირ. 5 კ. |
| აჭარულის ფქვილისა: პირ-ველის ხარისხისა— | —1 | გ. $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— | —1 | გ. 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამოცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— | —1 | გ. 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. $2\frac{1}{2}$ |
| ჯვარის-მამა პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა— | —1 | გ. 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. 7 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. 6 კ. |
| სუკი — | —1 | გ. 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისსკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისსკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზე და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

### თბილისის ახლად გახსნილის სამ-კლასიანის საქალაქო სასწავლებ-ლის მმართველი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თხოვნების მიცემა და ყმაწვილე-ბის ეგზამენები ხსენებულ სასწავლე-ბელში მიიღებაზედ გაგრძელდება ოც-და-ათ სექტემბრამდე ამა 1884 წლი-სა. თხოვნების შემოტანა და ბავშვე-ბისაგან ეგზამენების დაჭერა შეიძლე-ბა ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან ერთ თორ-მეტ საათამდე. სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

სასწავლებლის სადგომი იმყოფება ავლაბარში, როზოვის ქუჩაზედ, მარ-ტიგულოვის სახლებში, № 15, პურის საწყობის მაღაზიის (продовольственный магазинъ) ახლო. (3—1)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შედარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | -- — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-ფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭუ-რჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბე-ბი, მაგნეზია, ჟუნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახო-ცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფ-რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-ღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-წერს, გასაგზავნს არაფერს არ იხ-დის. (100—63)

### არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კან-ტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—9)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედანი ქართული წერისა, სურათებით, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, და-იბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზაქა-რია გრიქუროვის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაეთმობა ხუთ შაურად. აგრეთვე ისყიდება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში და-ბეჭდილი დახაზული ქაღალდი, თაბახი კაპეიკ-ნახევარად. რვეულები მზადდება და ეღირება: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რვად.

კონა საყმაწვილო მოთხრობებისა ბუ-ნების მეცნიერებიდგან, მეორე შევსებული გამოცემა, სურათებით, ისყიდება იქვე, ფა-სი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყი-დის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაე-თმობა 42 კაპეიკად.

(10—1)

### საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარი კალ-მები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნი-კები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სან-თელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეული-სათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკე-ები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, პატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სპ..ს-ტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილ-ტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა—20 კ. (100—9)

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за ПАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись красною краской.

F. Rigollot

Продается во всѣхъ аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО 24, Avenue Victoria PARIS Въ Парижѣ.

(32—23)

დაიბეჭდა და ისყიდება

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე,

ფასი მანათ-ნახევარი

თბილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან— იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან. (10—7)

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Сентября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი